ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება:**ბ48.482206013**

თარიღი:**01/03/2022**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტისა და 2023 – 2026 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის ,,ა“ პუნქტის, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,ე“ პუნქტის ,,ე.ე“ ქვეპუნქტისა და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 76-ე მუხლის 3-ე პუნქტის შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტისა და 2023 – 2026 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების მიზნით სამუშაო ჯგუფი დანართი 1-ის შესაბამისად;

2. განისაზღვროს საბიუჯეტო კალენდართან შესაბამისი ვადები და სამუშაო ჯგუფმა უზრუნველყოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტისა და 2023 – 2026 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის შესადგენად საორგანიზაციო სამუშაოების განხორციელება დანართი 2- ის შესაბამისად.

3. დამტკიცდეს საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ მოსაწოდებელი განაცხადის ფორმები დანართი 3-ის შესაბამისად;

4. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

გენადი ბალანჩივაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი